

21

1980



# ნოემბერი

გვირული შრომით  
დავამოთ  
გვალვის და სიბყვის  
შავეთი  
და ურანსული მოსავლით  
მე შვი დე ცაზე  
ავედით!

გვშვანის, მზიური  
ზვიმი,  
ხუთნლადის  
მხარგაშლილოგა  
და გვალფრთოვანებს  
პარტიის  
ოცდამეექვსე  
შ რ ღ ი ლ ო გ ა!

საქართველო



მართული სუფრა ოდითგან იყო მოყვრული დამოკიდებულების, უსაქტაქესი ქცევის გაკვეთილი... მაგრამ თანდათანობით ქორწილი, ქელები შეწერისა და შეწირულობის საბაბი გახდა.



# ქივის ლაშქრობის აგზავნი

ნ.ბ. ლ.ლ.ლ.ლ.სი



— ამ ლეჭორს ვერ დავენახვებ, გუშინ რვაასაპაციანი ქორწილიდან გავიქარა, თამადა იყო!

## ბავშვები და გოგონები

„იძულებული შევჩქენი ბავშვისთვის მაინც მეყიდა ბოტასები, რომელშიც 25 მანეთი გადავუხადე სპეკულანტს და დიდი მადლობაც მოვახსენე!“, — გვწერდა მეცნიერი თანამშრომელი პ. თ.

მართლაც, არც თუ იშვიათად ვაიგებთ უკმაყოფილებას იმის გამო, რომ სპორტვაჭრობის მაღაზიებში იშვიათად ვიძებნო სასურველ მაღალხარისხოვან სპორტულ საქონელს.

„ვცდილობთ, ბოტასებით პირველ რიგში სპორტული ორგანიზაციები დავაკმაყოფილოთ“, — არცთუ უსამართლოდ გვითხრეს ვაერთიანება „სპორტსაქონლის“ მუშაკებმა.

„ნიანგი“, გაერკვა რა შექმნილ სიტუაციაში, წერილის ავტორს ურჩევს:

ბავშვებს ბოტასები არ უნდა ვუყიდოთ! ჯერ ერთი იმიტომ, რომ ისინი ბავშვები არიან და არა სპორტსმენები! გაიზრდებიან, გახდებიან სპორტის დამსახურებული ოსტატები და ჩაიკვამენ ბოტასებს! მეორეც იმიტომ, რომ მათ არ იციან ბოტასების მოვლა-პატრონობა, რაც გამოიხატება იმაში, რომ ერთ ადგილზე ვერ ჩერდებიან; ხტიან, დარბიან, თამაშობენ ფეხბურთს, და ექსკურსიებზე დაც კი დადიან. ხოლო საქართველოს რელიეფი; მოგეხსენებათ, მთა-გორიანია, რაც ბავშვის ბოტასებზე უარყოფითად მოქმედებს.

რაც შეეხება ბოტასების 25 მანეთად ყიდვის ეპიზოდს, თქვენთან ერთად ჩვენც გვინდა მადლობა მოვახსენოთ სპეკულანტს, რომელიც იძულებულია, საბავშვო ბოტასებით მოამარაგოს თბილისის მოსახლეობა და რომელიც, როგორც ჩანს, წარმატებით ასრულებს ამ პასუხსაგებ (სისხლის სამართლის თვალსაზრისითაც) მოვალეობას!

ზურაბ ქაჯანია

**მოადგენს მინდვრებსა** ხვედურეთისა და ახალსოფლისასა, ქარელისა სამხრეთ-დასავლეთ კიბეშილ გვონხის ძე და ძმადნაფიცი მისი ლაშქრითა.

რას მოგვცემთო, — ჰკითხეს სოფლების თავაკებმა, — რომ სარეველის შემოტევისგან ვისნათო თქვენი მინდვრები და კულტურული ჯიშებით დავასახლოთო!

ფრად განიხარეს სოფლის თავაკებმა! — ოცდაერთი ათას მანეთს მოგცემო! — შეჰპირდა ხვედურელი. — იახშილოო! — უბასუხა კიმმა, — მე ჩემდათავად გაირდები, 2400 ცენტნერი ხახვი დაგიხვავოო!..

დაჰკრეს ხელი ხელსა, ხოლო ძმადნაფიცი თვისი, ლაშქრის ნაწილითა, კიმმა მოავლინა ახალსოფლის მინდორს იმავე მიზნითა.

ხოლო კიმ ემილ გვონხის ძე იყო ტაშკენტიდანა და ძმადნაფიცი მისი — იმას იქიდანა.

მაშინ კიმმა მთავარი ძალა მიმართა სათეს მანქანებსა, გაუსხნა თესლის ხვიმირები და შეუტია მინდორსა. ჰკვირობდნენ მუნ მყოფნი აგრონომნი და ტექნიკოსნი საქმის ასე მოწყობასა. მოიბნა ხახვის თესლი მიწაზე ყანის კვალობაზედა ისე, რომ აღარ დაურჩა სარეველასა ადგილი ამოსასვლელადა, ვეღარ განძლა მინა თესლითა, მოიტანეს ტომრები, მიუშვეს და მიუშვეს!.. ძლივს ეყო 360 კილოგრამი 20 ჰექტარსა!..

მერე იფეთქა ხახვის ყანამ, აამწვანა მინდორი, უფრო გვიან ამოინია ბალახმაც და დაიწყო სარეველებთან ბრძოლა ფიცხელი შამფურებითა (კიმისა და მისი ძმადნაფიცის ჩეჩენ-ინგუშეთიდან მოყვანილი ლაშქარი შამფურის მსგავსი იარაღით იყო აღჭურვილი).

გაფიცხდა მინა, რამეთუ წყალს არ აკარებდნენ სარეველების შიშითა. თუთქივით უყრიდნენ აზოტოვან და ფოსფორულ სასუქებსა!..

უარესად მოეძალა სარეველა მინდორს!.. მაშინ სცხეს ძელსა საგანგაშოს შამფურებითა და გამეტებით შეესია კიმის ლაშქარი მინდორს სამარგლად. სცხეს და სცხეს ჰერბიციდები ხელმსუბუქად გამარგულ მინდორსა და ხახვის ამოსანვად მიუშვეს წყალი!..

მაშინ წამოვიდა ზაფხულის ჭამის ყველაზე მძლავრი სარეველა — ძურნა, აინა მსუსხავი კუნუნა თავთუნებითა და გადაფარა მინდორი მთლად!..

შედრვა კიმ ემილ გვონხის ძე, უკუდგა ლაშქარი მისი, რამეთუ აღარ იყო ძალი გაძლებისა, ხოლო აგროტექნიკაც იყო უძღურ ყანის კვალობაზე ნათესის მოსავლელად!..

შეიქნა ყვირილი ბრძოლის წაგებისა და ლაშქართ შორის გადაძახილი ხვედურეთსა და ახალსოფლის სანახებსა.

და ერთ ღამეს მალულ განერიდა კიმისა და მისი ძმადნაფილის ლაშქარი ქარელის სანახებსა.

და ჰქონდა კიმს ქიშმირის თავშალში გამოკრული 11583 მანეთი, ხოლო ძმადნაფიცსა მისსა — უფრო ნაკლებ.

ხოლო მესვეურნი ხვედურეთისა და ახალსოფლისანი გავიდნენ მინდორსა მას.

— მინდორში ხახვი აღარ იხახვის! — შესძახა ხვედურელმა და თავი ჩაჰკიდა.

ეს არ იყო აღტაცების შეძახილი — მინდორში ხახვი აღარსად იყო!..

ცრემლი უნდოდათ, მაგრამ ცრემლი არ ჰქონდათ, ხახვიც არსად იყო, რომ თვალზე მოესვათ.

ასე უცრემლოდ იდგნენ და ჰნანობდნენ ფრიად!

არაინდო არაშენია



## უბის ღიბნაკიდან



1 ღვინის მუშტარი მსაყვედურობს ისევ და ისევ:  
— „ომარ საიამ, ჯამს შაქრიან ღვინით ნუ მივსვებ!“  
ვირო, ჭაჭაზე შაქარწყალი თუ არ დავასხი,  
მა, სუფთა ღვინით შენ მიყიდი „ვოლგას“ და ჯინსებს?!

2 ვაგლახ! აღარხად აღარ ისმის ქება ვენახის!  
ერთ ფასად ფასობს ღვინიაზე ხილი ყველა ხის!  
ომარ საიამ, რას მოესწარ: ვიღაც ტუტუცი  
ბენზინის რიგში — პირველ აშულს — „სიმონს“ გეძახის!

3 ეს ერთი თვეა, ინსპექტორი სულ მარბენინებს,  
მოჰყავს ექსპერტი და ჭიქაში სულს მამბერვინებს..  
შე დალოცვილო, ამ ცარიელ ჭიქით რომ დამსდევ,  
აავსე ღვინით და კაცურად შემამბერვინე!

4 მე სუდიასთან სამდურავი რა დამრჩენია? —  
რაღაც სტო ტიში და მიჯინა განაჩენია!..  
მაგრამ ვირისთავს მთელი ქრთამი სახლში რომ მიაქვს,  
ცოტა ბანკშიაც შეიტანოს! — განა ჩემია?



5 ვაპ, რედაქტორო, ჩემო მწვემსო, ჩემო ალაპო,  
უნდა გეახლო, მისაღები ავითალახო!..  
ამ შენს ჟურნალში უწიგნურებს რომ აბალახებ,  
მიოხარ, ნამდვილმა პოეტებმა სად ვიბალახოთ?!



6 ყველა კარტა ჭრის ქვეყნად კიკო, რუსულად — ტუზი!  
სამარის გარდა, არ სწორდება არაფრით კუზი! —  
ეგ ყველამ ვიცით, მაგრამ, ღმერთო, იქნებ შენ მიიხრა,  
ამ პრობკით დაცულ ლიმონათში საიდან — ბუზი?!




7 ჩამიჭრეს შეილი! ვიცი, ნაღდად, ორის ღირსია,  
მაგრამ მშობლისთვის მაინც დიდი დანაკლისია!  
— „ბრიყვო საიამ, ინსტიტუტს და ღუქანს ვერ არჩევ?  
აქ ნაღდს იღებენ! ვინ დაგიწერს ნიშანს ნიშიად?!“

8 მაღალო ღმერთო, რამე უთხარ ამ მილიციას,  
ვიდრე სიონის შთავარ ხატზე გადამიცია!  
კაცი კაცსა კლავს დღისით-მზისით, ეს კი მე დამსდევს:  
— „რატომ მიგალკა პავაროტში არ მიგიცია?!“



9 ვზივარ შხაპის ქვეშ და ოცნებით შევყურებ მერმისს,  
თან დაწრეტილი ონკანების სრიალი მესმის!..  
თავგასაპნულებს წყალი არ გვაქვს? — სამაგიეროდ,  
დღეს „წყალწაღებულს“ ვერ შეარქმევ თბილისში ვერვის!

10 ერთ ჩემს ახლობელს ძილი ძალზე არამშვიდი აქვს,  
რვა მილიონი მაყუთი აქვს, განა შეილი აქვს?  
გუშინ დამარხა სასოებით წყნეთის დაჩაზე,  
დღეს ობეხეეს იმ მაყუთის პანაშვიდი აქვს!



11 — „ომარ საიამ, რატომ ფეხბურთს არ ეკარები  
და ქუჩა-ქუჩა დარდიანი დაიარები?!“  
მე სტადიონზე როგორ შევალ, დარდიმანდებო,  
ვიდრე „დინამოს“ პრაზდნიკი აქვს „ღია კარების“?!



რობაიები მოიძია და დასასტამბად მოამზადა  
ჰეებე დუმბაკემ.





— რომ გამომხვადუნლარ ამ სახლში, მუხარამ ბინც დაბანყო!  
— მუხარამ რომ დაბინყო, ახმედ ქონებას ვინდა უხარარულყო!



— ვაი, რა გოიჩ ნაიძეა, სახლ-ქარი თასხ დაბ-  
ვიძეაო!

### ნ ა გ ე მ ს ე მ ბ

- **დაპატიმრებული** მჭკრიაშის ცოლმა დანიხდა ჩემს ქმარსა დაბოკუნაშეც დუდილია სხვათაშეც და ახლც და-  
დაბაო.
- **მედიკალი** თქვა ჩემს დაბორძადებას გამოუდღობისთვის ხელის დატევაში მიმდებარე.
- **ამწოდან** ღ ღ ე ს „რაწე“ გადიხაველა — ჩემს ოჯახს ეს უფრო ამოხვედა.
- **ვაჟა-ფშაველას** ქორწილ-ქვადების ხარკებიდან გათავისუფ-  
ლეს და ჩაბჭირი სეჭქმარა.
- **დაპატიმრებული** მჭკრიაშის ცოლი თვის ხელდასი ქორწილ-  
ში დატევილს ერთი ღობის შემოსავლით დაბარა.
- **მედიკალი** თქვა დედამ რომ წაქო აბრისი, დღობამ  
აბიჯინა — ახე ვაგდაბარო უმჭკრიაში.
- **მალაქა** ვა ცნა-ვა-მკოცნობით მოხვეა ქორწილ, ქორ-  
წილს კი გატეხ-გამოცხობით — ქვადობო.

პაპაძანა ჯაბორძილი  
(კ ა ს ა ი ს ჩ ა ნ)

## მირაქმარბი არზიანე

ვერა ხვდება არზიანე,  
რამდენ ქაღალდს აზიანებს!  
სულ კრუხებით აზის თუბებს,  
„როდუ“ თვალსაზრისის ივადობებს! —  
ახეთ ცაქად ახისტეგებს  
მას თუბების სიღარიბეს!  
ამის იქით არა სჯერა  
სხვა მანერის, სხვაგვარ ნიების,  
არ ეულება, სადაც ჯერ არის,  
ახი თუბის ანგარიშისი.  
ვალგაბა თვალმბობრიალუ  
ეფარება ცრუ კომპრომისს  
გაუწყება კომპლიანებს,  
შეცდენები მუავს უკომპლიონს!  
„ზოიან დნება „მომახისებერ“ —  
მას ხელს აძლევს ვიფინ აგრე!  
მოიმარჯვებს კომპლს ოხეც,  
თუ ვერ ნახავს მოპაქერეს.  
მისია ფიქრთა ტრევილაგა  
არც ზუგხია, არც — თეშიდა!  
იციხს ვის რა ვაგება,  
ომას დაწერს ას თეშიდანს!  
ამ ფიქრებმა გადააღებს  
(ეტყვი რამეს, — ვანა ვიკებს?)  
ვის რამდენჯერ ცილ დავიჯეს,  
ვის რამდენჯერ განაქიქებს!  
ვინ ქაღალდებდა პაიკობას,  
ვინ ქაღალდებდა „ფირისველს“  
თავი თავად დაიკობდა,  
მაინც წერს და არ იხვერებს!  
სულ კრუხითა, რითი ხუნქიკა,  
ღობინ სადმე მოკალთებს  
და კომპლიც მისთვის უნდა,  
მიდიცილის მოკამაიჯე!  
სად ფოფილა მუდამ ახე? —  
მოხვია კიდეც მოხახლენი! —  
თვით მას როცა უთავაზებს,  
მეის მუშუგა ვარსის ხელი!  
ახლა სხვაგვარ გაბრეშს აწიფებს,  
სხვა განრითოთ, სხვა კომპლექსით,  
თითქოს ითვის სხვა ჯიშის ხე,  
არა — მოღვება საკომპლექსი!

მირაქმარბი არზიანე



— თქმან ბრალად ბედაბათი თანადამბერის ბირობად გამოყენა-  
ბა! — შიშულბავალია მითულ ქალ-ღონს, ცოდნას და ენაობის ნათა-  
სავენიის და ნანერს-მამობრების კითრულღონისათვის ზრუნვას  
ვახმარდლი..

## გ ა ნ ე ს ხ ე ლ ე ბ ა

რასაშუალებიის მაკურთა კინორავრეუ კამოგზადებულა  
შეიქმედებობით გაერთიანება აცხადებს კოჭერეს მუშევრ ვა-  
კანტერ ადგილებზე:

1. არარსებული ბიზნის გაქირავების და დეირავების  
ავტრ-კონსულტანტი — ხამასი სამტრედიო ქრული.
2. ქალაქში ჩაწერის მსურველი მღვან-რეგისტრატო-  
რი — ზუთასა საშტეო ქრული.
3. სახლმმართველობის ურთიერთობის დამყარების მა-  
ლესობილ-ინსპექტორი — განუსაზღვრელი რაოდენობა.

მსურველებმა პირადად უნდა წარმოადენინს შედეგი სა-  
შუბობა:

1. ცნობა უმუშევრობის შესახებ.
2. ცნობა უსინდისობის შესახებ.
3. ცნობა განქორწინების შესახებ.
4. აბოლიციის მიწოდება.
5. ცნობა ფიცილებარი განათლების შესახებ, ვარდა სკო-  
ლაში.
6. ფიტრსურათები საჭირო არ არის — მიღებია გადა-  
უღებს!

გამოცემები წატარდება მუშედ დესციბლენებში:

1. მიტეუეულის მირაქმარბი და ფიჯერკი დაშუშავება  
(წ ე რ ა, ზ ე კ ა რ ი ა).
2. მინის აფურის ობტაგების (ზ ე კ ა რ ი ა).
3. ბანათა მისამართები და ტელეფონის ნომრები (წ ე რ ა,  
ზ ე კ ა რ ი ა).
4. მიქალაქეთა და ორგანის მუშუგათა ანი-ცნობა (ზ ე კ ა რ ი ა).
5. შემოსევების ადგილიდან გაუნარბების გზები და მეთი-  
დები (წ ე რ ა, ზ ე კ ა რ ი ა).

საშუბობა მიიღება წელწილის ნებისმიერ დღის მისამარ-  
ბით: თბისის, მწელადის ქუჩა, ბინების გაცვლის ბუკრის ფუჯა.  
გამოცემები — ვოფედლე 24 საათის ენამ-უღობისში.

მირაქმარბი არზიანე

# შეშლილი

მიმომდებან ხვება კოლიკლინიკაში

— ბიულეტენზე გასულა მინდა!  
— ემი: დაწერილებით უნდა ამხსნათ ფეხეც სტეტიკა!  
— ცხრილან ათ სათამაშე რიოთარს ციკარტოლის მამინენენენს!  
ემი: შემდეგ?  
— ათიდან თორმეტამდე სტერომავტორთონი მყარტებს!  
ემი: დასახელთ მავტორთონის ფირმა!  
— ელექტრონიკა.  
ემი: ძნელი საშოვნელია!  
— ამის შემდეგ სიმფონიური ორკესტრის რეპერტოია იწყებია..  
ემი: საოკარია, ვის რაში სჭირდება სასულე თუ სიმფონიური  
ორკესტრი? ახლა დისკოტეკა არის მოდში!  
— რა ვიცი? თავს იმბოთლებენ, შტარატმისა და პაიდნის მოსმენა  
სხვანაირად არ შეიძლება!  
ემი: მე კი ანსამბლ „აბაზა“ მომწონს.  
— „აბაზა“ ორი საათი ეტსმენ.  
ემი: გადამლულია!  
— აბა, ერთი წმა ამოილ, ვეტყვიან, გობი ხარო!  
ემი: მირაქმარბი შეუბრატელო ძნელი ასატანია, დიდი რაოდენ-  
ობობით აღერუნალის გამოყოფას იწყებს, ეს კი სტერეოკარდის საყრ-  
დარია!

— უფრო მეტის, ბატონო ექიმო!  
ემი: ჩემი რჩევა, გამოვიდეთ გარეთ!  
— სასამტრედიო გაბარისთვის მომხსინა!  
ემი: კი მაგრამ, რა სასამტრედიო გვეთ ასეთო?  
— „რობოტმკვლევი“.  
ემი: თქვენი იქ რას აკეთებ?  
— ეფერისა რობოტი ვოევი..  
ემი: რობოტებს ჩვენ ბიულეტენებს არ ვაძლევთ!  
— მე ცნობა მჭეჭს, რომ აღმანიაო.  
ემი: ვინ მოგეთ ამგვარი ცნობა?  
— სახლმმართველბა.  
ემი: კი მაგრამ, სახლმმართველს არ ეწინაო!  
— არა, თვითონც რობოტია!  
ემი: ამ წუთში დავრეკავ, სადაც საჭიროა!  
— არ გირჩევი! ისიც რობოტია!  
ემი: რანარად დანიშნეს?  
— ბიძა ჰყავს სადაც მოთარი რობოტად.  
ემი: ეფერავთი გამივია ცრუნობი ხომ ეწერა, რობოტების  
წარმოება შეწყვილო!

— შეწყდა, თუმცა ძველი რობოტები არ დაუშლიათ, ისინი  
გაერთიანეს და ჩამოაყვადებს „რობოტმკვლევი“, რომელიც რენ-  
ტებელტარია!

ემი: საოკარია რას აწორბობეს?  
— ჰუმანიტდეს.  
ემი: შედეგი?  
— ბრწუთავალი! უჯე, საცავა, ჩვენს სემსატრედი „ჰუმანილი  
შკლეველ“ გადკლებობ.

ემი: მერედა, რა აქნება თქვენი საქმიანობა?  
— საცოთის ქმნა, თქვენისობებზე ზერუნა, რეკომენდაციებო..  
ემი: ზურუნაში რას გულისხმობთ?  
— აი, მავალიად, ჩემისობა, მხდურისავან შეწყუხებული კაცი  
რომ მოვი, დაგორკავებ, ბიულეტენი მივიცი!

### (ანაზღად გაიხმა ტელეფონის ზარის ხმა)

ემი: ოო, გამეშენ თქვენი მონა-მორჩილი რას მიბრძანებთ?  
— თქვენთან ერთი რობოტი იმყოფება, დაუცველი, მოუცვრკოტი,  
სულელობა შექმნილით პირველი შემთხვევა წვენს პრაქტიკაში,  
რობოტი რომ გვეკვლევდა.  
ემი: ოო, როგორ შევდი, რანარად გამოთბარა დამშვიდობით  
პრადიდებოლით, ბიულეტენს ახლავ შევცდები!

პაპაძანა აღიზიჯილი







# შეკითხვა პოსეიდონს

ნახ. ვ. შირცხალაშვილი



მონყალეო პოსეიდონ,  
ძმურად აგვიხსენით:  
რა თილისმა დაიხმარეთ,  
ან რა ტროის ცხენი, —  
წყალი როგორ შეიყვანეთ  
ცივის მიღშიც — ცხელი?!

იცით: ვიცით, ცხელი წყალი!  
ზოგჯერ ცივიც არ ჩანს!  
რა გეიზერს მიაგენით,  
რა ლალსა და მარჯანს,  
რომ თბილისში, ცივის ნაცვლად,  
ცხელ-მდულარეს ხარჯავთ?!

მონყალეო პოსეიდონ,  
ზევისს ძმავ და ტოლო,  
ჩვენი წყლით მომარაგების  
დიდო წინამძღოლო,  
ბოლოს როდის მოეღება  
ამ „ხუმრობას“ ბოლო?!

დაგდუღრული



— ერთი ეს გამაგებინა, ყვავი როგორ ცოცხლოვს სამას წელი-  
წადს?!

— შენც ნუ მოსწავ, ნუ დაღვ, ნუ დარაკავ ტელეფონით, შამო-  
ჯეძი ჭადრის კენწეროზე და ნახავ, თუ ნაკლები გაქლო!..

## ნიანგს უპასუხებენ

ძ. ფოთის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი  
კომიტეტი:

„უტრანალ“ „ნიანგს“ მე-10 ნომერში დაბეჭდილ წერილში —  
„უცნობი უტრანალისტი ჩანაწერები“ — ქალაქ ფოთის სასტუმროს  
შესახებ მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება.

სასტუმრო „კოლხეთის“ კაპიტალური შეკეთების დამთავრება  
გათვალისწინებულია 1981 წლის პირველი კვარტალისათვის. სასტუმ-  
რო უზრუნველყოფილი იქნება ახალი ინვენტარით.

ძ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო დეპუტატთა  
საბჭოს აღმასკომი:

„ნიანგის“ მე-9 ნომერში დაბეჭდილი წერილი სათაურით —  
„ზარათები ნიანგს“, რომელიც ამხელდა მარჯანიშვილის ქ. № 49-ში  
სათავსების მშენებლობის გაკვიანურების ფაქტს, სინამდვილეს შე-  
ეფერება.

აღმასკომმა განიხილა აღნიშნული საკითხი და სარემონტო კანტო-  
რას დაავალა, წლის ბოლომდე დაამთავროს ხარჯთაღრიცხვით გათ-  
ვალისწინებული სამუშაოები.

## წერილების კვალდაკვალ

საოჯახო მშენებლობა 1978 წელს უნდა დამთავრებუ-  
ლიყო, მაგრამ ჯერ არც დაუწყიათო! — სწორდნენ რედაქციას  
გარდაბნის რაიონის სოფელ კიკეთიდან.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროდან გვაცნობეს, რომ  
სოფელ კიკეთში სასკოლო შენობის საექსპლუატაციოდ გადაცემა  
1978 წლის მაისისათვის იყო გათვალისწინებული, მაგრამ სასოფლო  
მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტს მშენებლობა ჯერ არც დაუ-  
წყია.

აღნიშნულ საკითხზე იმსჯელეს საქართველოს სსრ მინისტრთა  
საბჭოში: სკოლა 1981 წლისთვის აშენდება.

გაერთიანება „რიონის“ ქ. მახარაძის ფილიალი უშვებს უხა-  
რისხო ჭიკარტებს! — გვატყობინებდნენ რედაქციაში შემოსული  
წერილის ავტორები.

საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების პრეზიდიუმიდან, სა-  
დაც წერილი შესასწავლად და ზომების მისაღებად გადაეგზავნეთ,  
რედაქციას აცნობეს, რომ ჭიკარტების უხარისხობის ფაქტი დადას-  
ტურდა.

უსინათლოთა საზოგადოების პრეზიდიუმმა განიხილა აღნიშნული  
საკითხი, გაერთიანება „რიონის“ ქ. მახარაძის ფილიალის დირექტორს  
ვ. მუჭირს გამოუცხადა საყვედური და მასვე დაავალა, მკაცრი კონ-  
ტროლი დაეწყოს პროდუქციის ხარისხზე.

გორის რაიონის სოფელ ციციანთაძის შტაბიდან გვწე-  
რდნენ სოფლის კეთილმოწყობის საკითხებზე.

სახალხო დეპუტატების გორის რაიონსაბჭოს აღმასკომიდან რედაქ-  
ციას აცნობეს, რომ აღმასკომის სხდომაზე იმსჯელეს სოფელ ციცი-  
ანთაძის კეთილმოწყობის საკითხებზე და პრაქტიკული ზომებიც  
განხორციელდა: სოფელში აშენდა ბიბლიოთეკა, შეკეთ-  
და სავაჭრო პავილიონი; შენდება ახრისის ცენტრალური ამ-  
ბულატორია; ხიდი მდინარე მეჭუღაზე და ახალი წყალსადენი.



ნახ. მ. აბაშიძის

— როცა ყველას სამუშაოდ მიგიხარია, სამსა-  
ხურიც ანას ჰქვია!..



ისრაელი შეერთებული შტატების დახმარებითა და წაქეზებით აძლიერებს ექსპანსიურ პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში.

ნან. ბ. ლომიძისა



თავსებასული

## უცხოური იუმორი

ორი ლორდი საუბრობს:

— მომისმინეთ, სერ არტურ! თქვენ ამბობთ, ხალხი არ მოიწონებს ლორდთა პალატის ამ გადანყვეტილებასო. კი მაგრამ, საიდან იცით ხალხის აზრი, თქვენ ხომ ავტობუსითაც არ გიმგზავრიათ არასდროს?

— ჰმ! არადა, მართალს ამბობთ! დღესვე ექსპერიმენტის მიზნით ვიმგზავრებ ავტობუსით!

სერ არტური ქუჩაში გამოვიდა, ჩაჯდა ავტობუსში და მძღოლს უთხრა:

— გეთაყვა, მიმიყვანეთ პიკადილი-სერკუსზე, ნომერი ოცდაცამეტი!

ქალბატონი საკაბეს არჩევს.

— იცოდეთ, სენიორა, — ურჩევს გამ-

ყიდველი, — განივი ხაზები ტანს ასქელებს!..

— ნუთუ გგონიათ, მათ შექმას ვაპირებ?!


აღვკოპატი ამბობს სასამართლოში:

— პატივცემულო ბატონებო, ყიურის ნევრებო! სანამ ჩემს კლიენტს ვერდიქტს გამოუტანდეთ, გაითვალისწინეთ, რომ იგი ყრუ-მუნჯია და არ გაუგონია, რას ეუბნებოდა თავისი სინდისი!

— ექიმო, ოპერაციამ მშვიდობიანად ჩაიარა?

— რის ექიმი, რა ექიმი?! მე მიქელ-გაბრიელი გახლავართ!

7-80



სატირისა და იუმორის  
შურნალი „ნიანგი“  
№ 21 (1583). თბილისი  
გამოცემის 1923 წ. ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი  
ზაურ გოლქვაძე

სარედაქციო  
კოლეჯია:

ზაზუნა ამირაჯიანი  
ნოზალი ბარათია  
გორის გურგულიანი  
ნოდარ ლუგვაძე  
რევაზ თვარაძე  
ჯემალ ლოლუა  
ნოდარ გალაგონია  
(მხატვარი-რედაქტორი)

ზეზან სიხარულიძე  
(პასუხისმგებელი მდივანი)

ალექსანდრე სახონია  
გიგლა ფირცხალავა  
ჯანსუღ ჩარკვიანი  
თამაზ წიგვიანი  
ვაჟა ზანიშვილი  
(მთავარი რედ. მოადგილე)

ნაფი ჯუსოთი

ტექნიკური რედაქტორი  
მინილ კუხალაშვილი

გადამცა ასაწყობად  
3.10.80 წ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად  
25.11.80 წ.

ქალაქის ზომა 70x108 1/2  
ფიზიკური ნაბეჭდი  
ფურცელი 2

საბარეგო-საბარეგო  
თაბანი 1,7

საქართველოს კბ ცკ-ის  
გამომცემლობა,  
ლენინის ქ. № 14,  
შეკვეთა № 2681. უმ 00746.

ტირაჟი 150.950.

ქურნალი გამოდის  
თვეში ორჯერ.

რედაქციაში შემოსული  
მასალები ავტორებს  
არ უბრუნდებათ.

ჩ ვ ი ნ ი მ ი ს ა მ ა რ თ ი:

380008, თბილისი-8, რუსთაველის  
პროსპექტი, № 42.

ბ მ ლ ი მ ო ნ ი ბ ი: მთავარი  
რედაქტორის — 93-62-04, მთ.  
რედ. მოადგილის — 93-19-42,  
პ/მ მდივნის — 93-10-78, მხა-  
ტვარი-რედაქტორის — 99-02-38,  
განყოფილებათა გამგეების —  
93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკე-  
ბის — 99-02-38, მდივანი-მეგან-  
ქანის — 99-76-69.

Сатирико-юмористический  
журнал «НИАНГИ»  
(На грузинском языке)

Тбилиси, пр. Руставели № 42.  
Издательство ЦК КП Грузии  
Типография Издательства ЦК  
КП Грузии, Тбилиси, ул. Ле-  
нина № 14.

ფასი 20 კაპიკი  
ინდექსი 76137

КОНТРОЛЬ